




გლობალური ბაზრების მიმოხილვა


გლობალური ბაზრები
პერიოდული
19 აპრილი, 2021

- აპრილი გლობალური ბაზრებისთვის საკმაოდ კარგად დაიწყო, ძირითადად ინდექსებმა აპრილში რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია. მაგალითად, S&P 500 ინდექსმა, რომელიც ამერიკის ტოპ 500 კომპანიას აერთიანებს, 2 აპრილს პირველად გადალახა 4,000-ის ნიშნული, ზრდა ძირითადად ტექნოლოგიურმა და ენერგეტიკის სექტორის კომპანიების შედეგად მოხდა. ტექ-კომპანიების ფასების ზრდა ჯო ბაიდენის მსხვილ ინფრასტრუქტურულ პაკეტს უკავშირდება (\$2 ტრილიონი), რომელიც მოიცავს საკმაოდ დიდ ინვესტიციებს კვლევასა და ინტერნეტ მომსახურებებში.
- აპრილის პირველ ნახევარში ფინანსურ ბაზრებზე დადებითი გავლენა იქონია აშშ-ის მკვეთრად გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა. კერძოდ, მომსახურების სექტორი მარტში იმაზე სწრაფად გაზარდა, ვიდრე ამას ანალიტიკოსები მოელოდნენ, რაც ეკონომიკის გაჯანსაღების დაჩქარებაზე მიუთითებს. მარტში ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აშშ-ს დასაქმების ბაზარი - დამატებით 916,000 სამუშაო ადგილი შეიქმნა, ხოლო უმუშევრობა 6%-მდე დაეცა. ასევე საკმაოდ დადებითი იყო საცალო ვაჭრობის შედეგებიც (+ 9.8% vs. ეკონომისტების მოლოდინი 5.8%).
- საერთო ჯამში, აპრილის პირველ ნახევარში S&P 500 5.4%-ით გაიზარდა და 16 აპრილისთვის ისტორიულ მაქსიმუმზე ივაჭრებოდა (4,185). NASDAQ კომპოზიტი, რომელიც ძირითადად ტექნოლოგიური კომპანიებითაა დაკომპლექტებული, იმავე პერიოდში 6.1%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ გახმაურებული IPO-ს შემდეგ Coinbase NASDAQ-ის ინდექსის შემადგენელი გახდა. კომპანიის კაპიტალიზაციამ \$76 მილიარდი შეადგინა, რაც ბევრად აღემატება ზოგიერთი ცნობილი კომპანიის ზომას. ევროპაში, STOXX 600 აპრილის პირველი 2 კვირის განმავლობაში 3.0%-ით გაიზარდა, ხოლო დიდი ბრიტანეთის FTSE 250 ინდექსი იმავე პერიოდში 4.7%-ით გაიზარდა.


S&P 500 (აშშ)




Dow Jones Industrial Average (აშშ)




NASDAQ (აშშ)




STOXX 600 (ევროპა)



FTSE 250 (ლონდონი)



**Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)**



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 16 აპრილის მდგომარეობით

- ჩინეთის ეკონომიკა 2021 წლის პირველ კვარტალში რეკორდულად - 18.3%-ით გაიზარდა. ეკონომიკის ზრდას ხელი გაზრდილმა ინდუსტრიულმა წარმოებამ, მაღალმა ადგილობრივმა მოთხოვნამ და ძლიერმა ექსპორტმა შეუწყო. თუმცა ეკონომიკური მაჩვენებლები არ ასახულა კაპიტალის ბაზრებზე, და ჩინეთის შანხაის ინდექსი აპრილის პირველ 2 კვირაში მცირედით - 0.4%-ით - შემცირდა.
- იაპონიაში ყურადღების ქვეშ კომპანია ტოშიბა მოექცა, მას შემდეგ რაც მსხვილმა კონგლომერატმა - CVC Capital Partners-მა, \$20 მილიარდად ტოშიბას შესყიდვის სურვილი გამოთქვა. აღნიშნული გარიგების შემთხვევაში ტოკიოს საფონდო ბირჟიდან ტოშიბას დელისტინგი მოხდება, რაც იაპონიის ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება იქნება. თუმცა, მოგვიანებით კომპანიის გენერალური დირექტორის მოულოდნელმა გადადგომამ გარიგება ეჭვქვეშ დააყენა. იაპონიის კაპიტალის ბაზრებზე აპრილის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა, იაპონიის Nikkei ინდექსი აპრილის პირველ ნახევარში 1.0%-ით გაიზარდა.


ნავთობი და ოქრო

- აპრილის დასაწყისში OPEC-ის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მაისიდან თანდათანობით გაზრდიან ნავთობის წარმოების მოცულობებს. აპრილის პირველ დღეებში შემცირების შემდეგ, ნავთობის ფასები გაიზარდა და 16 აპრილისთვის Brent-ის ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე \$66.8 შეადგინა, ხოლო WTI-ს ტიპის ნავთობის ფასი კი \$63.1 იყო. ნავთობის ფასების ზრდას ხელი შეუწყო აშშ-ს გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა მონაცემებმა და ასევე საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს (IAE) - 29 წევრი ქვეყნისა და ევროკომისიის ენერგეტიკის პოლიტიკის მრჩეველი - მიერ 2021 წლისათვის ნავთობზე მოთხოვნის პროგნოზის ზრდის მიმართულებით გადახედვამ.
- აპრილის პირველ ნახევარში ოქროზე მოთხოვნა გაიზარდა და 16 აპრილისთვის ფასმა ტროის უნციაზე \$1,777 შეადგინა.

Volatility/მერყეობა ბაზარზე


- აპრილის პირველ 2 კვირაში აშშ-ში, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი, VIX, შემცირდა და 16 აპრილის მდგომარეობით 16.2 შეადგინა.

Nikkei 225 (იაპონია)




თებ მარ აპრ მაი ივნ ივლ აგვ სექ ოქტ ნოვ დეკ იან თებ მარ აპრ

Shanghai Composite Index (ჩინეთი)




თებ მარ აპრ მაი ივნ ივლ აგვ სექ ოქტ ნოვ დეკ იან თებ მარ აპრ

ოქრო




თებ მარ აპრ მაი ივნ ივლ აგვ სექ ოქტ ნოვ დეკ იან თებ მარ აპრ

ნავთობი (WTI)



თებ მარ აპრ მაი ივნ ივლ აგვ სექ ოქტ ნოვ დეკ იან თებ მარ აპრ

ვოლატილობა (Vix)



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 16 აპრილის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უწებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდითთ ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge